თათია დოლიძე[1]

გრენლანდიის გამოსვლა ევროპის ეკონომიკური გაერთიანებიდან: გადაწყვეტილების მიღების პროცესის კონსტრუქტივისტული ანალიზი სამთავრობო და საზოგადოებრივ დონეზე

აბსტრაქტი

სტატიის მიზანია გრენლანდიის მიერ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დატოვების შესახებ გადაწყვეტილების მიზეზების გამოვლენა და ახსნა. არგუმენტაცია ეფუძნება გადაწყვეტილების მიღების პროცესის ორდონიან ანალიზს: სამთავრობოსა და საზოგადოებრივს. გრენლანდიის თვითგამორკვევის კენჭისყრაფვის *პროცესის მიყოლის* მეთოდსა და 1982 წლის წინასარეფერენდუმო კამპანიის *დისკურსის ანალიზზე* დაყრდნობით, ავტორი ასკვნის, რომ სამთავრობო დონეზე, გადაწყვეტილებას ბიძგი მისცა ავტონომიის გაფართოების სურვილმა, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ევროპული გაერთიანებისგან დამოუკიდებელი ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის გეგმა, ხოლო საზოგადოებრივ დონეზე, გადამწყვეტი როლი ითამაშა ევროპეიზაციის საპირწონედ გრენლანდიური იდენტობის შენარჩუნების სურვილმა. სტატიის მიგნებები ინტერპრეტირებულია ალექსანდრ ვენდტის მიერ შემოთავაზებული ეროვნული ინტერესების შემდეგი კატეგორიების მიხედვით: ავტონომია, ეკონომიკური კეთილდღეობა და კოლექტიური თვითრწმენა. შესაბამისად, გრენლანდიის მიერ ეკონომიკური გაერთიანების დატოვება განხილულია, როგორც ეროვნული ინტერესების გამოხატულება კონსტურქტივისტული გაგებით. ეროვნული ინტერესების ვენდტისეული კონცეპტუალიზაციის პარალელურად, გამოყენებულია ვივერის სეკურიტიზაციის თეორია წინასარეფერენდუმო კამპანიის, როგორც სეკურიტიზაციის აქტის, გასაანალიზებლად. სტატია ასკვნის, რომ მთავრობამ გრენლანდიელების კოლექტიური თვითრწმენა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრობის წინააღმდეგ მიმართა, რითაც პოლიტიკური საკითხის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სფეროში გადატანა მოახერხა.

საკვანძო სიტყვები: *გრენლანდია, ბრექსიტი, ევროკავშირი, ევროკავშირიდან გასვლა, სეკურიტიზაცია.*

შესავალი

1982 წლის 23 თებერვლის რეფერენდუმის შედეგად, გრენლანდიამ, დანიის ავტონომიურმა ტერიტორიამ (დანიის სამეფოს დომინიონი), ევროპის ეკონომიკური გაერთიანებიდან (EEC) გამოსვლის გადაწყვეტილება მიიღო. 1985 წელს კი გრენლანდიამ ოფიციალურად დატოვა გაერთიანება და მას შემდეგ *ზღვისგადაღმა ქვეყნებისა და ტერიტორიების (OCT)* სტატუსით სარგებლობს. მსოფლიოში ყველაზე დიდი კუნძული პირველი და ერთადერთი ტერიტორიული ერთეულია, რომელმაც ევროკავშირი დატოვა[2]. მნიშვნე-

[1] თათია დოლიძე არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის სადოქტორო პროგრამის მკვლევარი. სტატია წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებულ სასემინარო ნაშრომს. ელ-ფოსტა: tatia.dolidze@gmail.com, tatia.dolidze@eu.edu.ge

[2] გრენლანდია მიიჩნევა (თვითონ ევროკავშირის მხრიდან) წევრი სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფ ერთადერთ ტერიტორიულ ერთეულად, რომელმაც ევროკავშირი დატოვა (იმ დროს ევროპის ეკონომიკური გაერთიანება). „შემთხვევა უპრეცედენტოა“, - ვკითხულობთ კომისიის 1983 წლის 2 თებერვლის განცხადებაში გრენლანდიის

ლოვანია, რომ გრენლანდიის მიერ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დატოვება წარმოადგენდა არა წევრი სახელმწიფოს, არამედ მის შემადგენლობაში არსებული ტერიტორიული ერთეულის გამოსვლას გაერთიანებიდან, რის გამოც გრენლანდია უნიკალურ ქეისად რჩება ბრექსიტის შემდეგაც კი და საგარეო პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით მნიშვნელოვან თავსატეხს წარმოადგენს.

აღნიშნული სტატია თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით შეისწავლის გრენლანდიის მიერ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დატოვების გადაწყვეტილების მიზეზებს როგორც სამთავრობო, ისე საზოგადოებრივ დონეზე. ავტორი აცხადებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება იყო როგორც „ზემოდან“ მიღებული, ასევე „ქვემოდან“ წამოსული, თუმცა, მაინცდამაინც არ ეყრდნობოდა ერთსა და იმავე ლოგიკას. ჯერ იყო გრენლანდიის მთავრობის გადაწყვეტილება ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დატოვების საკითხის რეფერენდუმზე გატანის შესახებ, რომელსაც მოჰყვა ინტენსიური წინასარეფერენდუმო კამპანია და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა საზოგადოების უმრავლესობამ გაერთიანების დატოვების სასარგებლოდ ხმის მიცემა.

მთავრობის გადაწყვეტილების ამხსნელ ფაქტორად მიჩნეულია ავტონომიის გაფართოების ინტერესი, რომელსაც თან ახლდა გაერთიანების გარეთ ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის რწმენა. ავტონომიის გაფართოების ინტერესი იყო აუცილებელი, თუმცა, არასაკმარისი საფუძველი გაერთიანების დასატოვებლად, ხოლო გაერთიანების გარეთ ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის რწმენა მინიმალურ საფუძველს წარმოადგენდა. ორივე ერთად კი საკმარისი აღმოჩნდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრობის წინააღმდეგ გადაწყვეტილების მისაღებად. საზოგადოებრივ დონეზე გადამწყვეტ ფაქტორად კი განიხილება ევროპეიზაციის საფრთხის საპირწონედ გრენლანდიური იდენტობის შენარჩუნების ინტერესი. სტატიაში გაცხადებულია, რომ მთავრობამ მოახდინა გრენლანდიური იდენტობის დაკარგვის შიშით მანიპულირება, რითაც მოახერხა გრენლანდიის საზოგადოების კონსოლიდირება ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრობის წინააღმდეგ წინასარეფერენდუმო კამპანიის ფარგლებში.

ოფიციალური განცხადებები ინტერპრეტირებულია ალექსანდრ ვენდტის *ეროვნული ინტერესების* კატეგორიების მიხედვით, რომლებიც ჩამოყალიბებულია მის წიგნში „საერთაშორისო პოლიტიკის სოციალური თეორია“[3]. ვენდტი (1999) აკრიტიკებს ნეორეალიზმისეულ (უოლცი) ნულოვანჯამოვანი თამაშის იდეას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოების ერთადერთი ეროვნული ინტერესი ფიზიკური გადარჩენაა (p.235) და ამტკიცებს, რომ სახელმწიფოებს აქვთ სულ მცირე სამი სხვა ეროვნული ინტერესი: ავტონომია, ეკონომიკური კეთილდღეობა და კოლექტიური თვითრწმენა (pp.235-236), რომელთაგან სამივე რელევანტურია გრენლანდიის შემთხვევაში. გარდა ამისა, სტატიაში თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია სეკურიტიზაციის თეორია, რომელსაც საფუძველი ოლი ვივერმა (1995) ჩაუყარა და შემდგომში განავითარა ბუზანსა და დე ვაილდთან ერთად (1998). აღნიშნული თეორიის ჭრილში, წინასარეფერენდუმო კამპანია განხილულია, როგორც შუალედური ცვლადი, რომელმაც გრენლანდიაში ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრობის დემონიზებას შეუწყო ხელი.

სტატიაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები: *პროცესის მიყოლა* და *დისკურსის ანალიზი*. პროცესის მიყოლის მეთოდი გულისხმობს „ისტორიული მოვლენის შიგნით არსებული მონაცემების გამოყენებას ამავე მოვლენაში არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესახებ დასკვნების გამოსატანად“ (Bennet and Checkel, 2012, p.2). ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, განისაზღვროს, გრენლანდიის ავტონომიის, ეკონომიკური კეთილდღეობისა და კოლექტიური თვითრწმენის ეროვნული ინტერესების მიღწევისკენ ისტორიულმა პროგრესმა რა როლი ითამაშა ევროპის ეკონომიკური გაერთიანებიდან გამოსვლის გადაწყვეტილებაში. გარდა ამისა, დისკურსის ანალიზის გამოყენებით, სტატია სეკურიტიზაციის ჭრილში შეისწავლის წინასარეფერენდუმო კამპანიას. სამწუხაროდ, პირველადი წყაროების შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამო, განსაკუთრებით ინგლისურ ენაზე, სტატია ძირითადად აანალიზებს მეორად წყაროებში გამოყენებულ დისკურსს, თუმცა არსებული მონაცემები სრულიად საკმარისია ძირითადი ტენდენციების გამოსაკვეთად.

სტატუსის შესახებ. თუმცა, სხვა შესაძლო მაგალითებს წარმოადგენს ალჟირი (იმ დროისთვის საფრანგეთის კოლონია), რომელსაც 1962 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, შეუწყდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრის სტატუსი და სენ-ბართლემი, რომელმაც გვადელუპას იურისდიქციიდან გამოსვლის შემდეგ, ყველაზე დაშორებული რეგიონის (OMR) სტატუსის ნაცვლად, მიიღო ზღვისგადაღმა ქვეყნისა და ტერიტორიის (OCT) სტატუსი.

[3] აღნიშნულ სტატიაში, „ეროვნული ინტერესების“ ცნების გაგება არ მოიცავს მხოლოდ იმ აქტორებს, რომლებიც საერთაშორისო დონეზე დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსით სარგებლობენ

ნაწილი 1. გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამთავრობო დონეზე

ავტონომია: გრენლანდიის ავტონომიის გაფართოების ინტერესი დანიის სამეფოს შიგნით

ვენდტის (1999) მიხედვით, „ავტონომია გულისხმობს სახელმწიფოსა და საზოგადოების შესაძლებლობას, განახორციელოს კონტროლი საკუთარი რესურსების განაწილებასა და მთავრობის არჩევაზე“ (p.235). აღნიშნული განსაზღვრების გათვალისწინებით, სტატიის ამ ნაწილში გამოყენებულია პროცესის მიყოლის მეთოდი იმის დასადგენად, თუ რამდენად არის შესაძლებელი გრენლანდიის მიერ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დატოვების გადაწყვეტილების ახსნა ავტონომიის გაფართოების ინტერესით. პროცესის მიყოლის მეთოდი აანალიზებს გრენლანდიის გზას თვითგამორკვევისკენ, რომელიც ჯერ კიდევ გრძელდება და რომლის საბოლოო ეტაპი, შესაძლოა, დამოუკიდებლობის გამოცხადებაც კი იყოს. ანალიზი, ასევე, ფარავს თევზჭერის მიმართულებით განვითარებულ პროცესებს, რათა გამოავლინოს გრენლანდიის ადგილობრივი რესურსების არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც.

მე-20 საუკუნის შუა წლებში, გრენლანდიაში მიმდინარე მოდერნიზაციის პროცესს თან ახლდა დანიის გავლენის ზრდა გრენლანდიის ყოველდღიურ ცხოვრებაზე და შედეგად, ადგილობრივი ძალაუფლების შემცირება. გრენლანდიის მოდერნიზაცია კოპენჰაგენში იგეგმებოდა: „უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ფაქტობრივად, გრენლანდია პოლიტიკურად, ეკონომიკურად, ინტელექტუალურად და ფიზიკურად სხვებისგან იმართებოდა“ (ციტირებულია: Shadian, 2006, p.100). აღნიშნული პერიოდი ეროვნული თვითშეგნების ზრდით ხასიათდებოდა. 1953 წლისთვის გრენლანდია აღარ იყო დანიის კოლონია, არამედ ის წარმოადგენდა დანიის სამეფოს შემადგენელ ნაწილს (Orvik, 1984, p.939). თუმცა, ყოველივე ეს რეალური დეკოლონიზაციის პროცესის მხოლოდ დასაწყისი იყო. პროგრესულად მოაზროვნე პოლიტიკური ელიტა „სიუმუთის“ პარტიაში გაერთიანდა და გრენლანდიის ავტონომიის გასაფართოებლად დაიწყო მუშაობა (Dahl 1986, p.320).

ევროპის ეკონომიკური გაერთიანების საკითხზე ჩატარებულ 1972 წლის რეფერენდუმზე, გრენლანდიელებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა, თავად გადაეწყვიტათ გრენლანდიის საგარეო პოლიტიკის ბედი. რეფერენდუმში ამომრჩეველთა 70%-მა ხმა გაერთიანებაში ინტეგრაციის წინააღმდეგ მისცა. როგორც დალი (1968) აღნიშნავს, რეფერენდუმის შედეგები გამოხატავდა არა მხოლოდ ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისადმი გრენლანდიელების უარყოფით დამოკიდებულებას, არამედ წინააღმდეგობას ნებისმიერი ტიპის საგარეო დომინირების მიმართ (p.320). მიუხედავად ამისა, 50.000 გრენლანდიელის ხმა გადაწონა 5 მილიონი დანიელის ხმამ, რომლებმაც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრობის სასარგებლოდ გააკეთეს არჩევანი (Dahl, 1986, p.320) და 1973 წელს გრენლანდია, თავისი მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ, გაერთიანების წევრი გახდა. როგორც ალფრედსონმა (1982) აღნიშნა, „გრენლანდიელებს ამიერიდან ერთის ნაცვლად ორ უცხოურ დედაქალაქსა და ბიუროკრატიასთან, კოპენჰაგენსა და ბრიუსელთან, მოუწევთ გამკლავება“ (p.292). წარმომადგენლობითი ხელისუფლება კოპენჰაგენში აღარ იყო საკმარისი იმისთვის, რომ გრენლანდიას შესძლებოდა თავისი ინტერესების გამოხატვა და შესაბამისად, ადგილობრივმა პარტიებმა წამოიწყეს კამპანია საშინაო მმართველობის მისაღწევად. დანიის პარლამენტში, პროვინციის საბჭოებსა თუ გაზეთებში, გრენლანდიის პოლიტიკოსები თვითგამორკვევის უფლებას მოითხოვდნენ (Dahl, 1986, p.320). იმედგაცრუებულ გრენლანდიელებს სურდათ „უფრო მეტად გრენლანდიური გრენლანდია, ანუ საზოგადოება, რომელიც იქნებოდა რაც შეიძლება მეტად გრენლანდიური და დანიური მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო იყო“ (Sorensen, 1995, p.101). გრენლანდიის გაფართოებული ავტონომიისკენ სწრაფვას მოჰყვა 1979 წლის რეფერენდუმი საშინაო მმართველობის საკითხზე. ამომრჩეველთა 63%-მა დანიისგან უფრო მეტ ავტონომიას დაუჭირა მხარი (Naalakkersuisut-Government of Greenland, n.d). 1979 წლის 1-ელ მაისს, ხელი მოეწერა შესაბამის კანონს და გრენლანდიას საშინაო მმართველობის უფლება მიენიჭა.

მიუხედავად იმისა, რომ მიღებული კანონი დანიის კონსტიტუციის დანართს წარმოადგენდა, “საშინაო მმართველობის აქტი“ დანიის კანონმდებლობაზე მაღლა იდგა და ფაქტობრივად, გრენლანდიის კონსტიტუციად მიიჩნეოდა (Harhoff, 1994/5, p.63). „საშინაო მმართველობის აქტის“ მიხედვით, საგარეო პოლიტიკა დანიის ცენტრალური აპარატის კომპეტენციის ფარგლებში რჩებოდა (ნაწილი 11, 2) და განისაზღვრებოდა საერთაშორისო ხელშეკრულებების უპირატესობა ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებით (ნაწილი 10, 1), თუმცა, გრენლანდიამ მოიპოვა მნიშვნელოვანი პლატფორმა საკუთარი პოზი-

ციის დასაფიქსირებლად (სექცია 11, 2). საშინაო მმართველობის უფლების მიღებამ წაახალისა გრენლანდია, რომელმაც მალევე დაიწყო ევროპის ეკონომიკური გაერთიანებიდან გამოსვლის გზებზე მუშაობა.

ევროსკეპტიკურმა „სიუმუთმა", რომელიც იმ დროისთვის უკვე მმართველი პარტია იყო, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრობის საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარება გადაწყვიტა. რეფერენდუმი 1982 წელს გაიმართა და მასში გრენლანდიის მოსახლეობის 74,9%-მა მიიღო მონაწილეობა. ამომრჩეველთა 46,1%-მა მხარი დაუჭირა იმ დროისთვის არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნებას (ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის წევრობა), 52%-მა კი ხმა წევრობის წინააღმდეგ მისცა (Johansen & Sorensen, 1983, p.272). შედეგად, დანიამ ევროკომისიაში გრენლანდიის მიერ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დატოვების მოთხოვნის განაცხადი შეიტანა. (Commission Communication, p.10). ორწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ, გრენლანდიამ ოფიციალურად დატოვა გაერთიანება და მიიღო ზღვისგადაღმა ქვეყნებისა და ტერიტორიების (OCT) სტატუსი. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, აღნიშნული შემთხვევა არაორდინალურ პრაქტიკას წარმოადგენდა ავტონომიური ტერიტორიისთვის. ზოგადად, ავტონომია გულისხმობს მოქმედების თავისუფლებას საშინაო საქმეებში, ხოლო საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა, როგორც წესი, ეროვნული მთავრობის კომპეტენციის სფეროს ეკუთვნის. ასევე, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, საშინაო მმართველობის აქტს გრენლანდიისთვის არ მიუნიჭებია საგარეო პოლიტიკის განკარგვის უფლებამოსილება. თუმცა, დანიამ მაინც მისცა გრენლანდიას მმართველობითი კომპეტენციის იმგვარად გაფართოების უფლება, რომ ამ უკანასკნელს ჰქონოდა დანიის მიერ არჩეულ საგარეო კურსზე უარის თქმისა და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დატოვების შესაძლებლობა.

ამის მიუხედავად, მე-20 საუკუნის ბოლოსთვის გრენლანდიელებმა გადაწყვიტეს, რომ საშინაო მმართველობამ ამოწურა თავისი ფუნქცია და საშინაო მმართველობის აქტის მიერ გრენლანდიის მთავრობისთვის დაწესებული შეზღუდვები მათთვის უკვე მიუღებელი გახდა (გოკე, 2009, p.110). დანიისა და გრენლანდიის მთავრობებს შორის მოლაპარაკებების შედეგად, ჩამოყალიბდა გრენლანდიურ-დანიური კომისია. „გრენლანდიის ამჟამინდელ კონსტიტუციურ პოზიციაზე დაყრდნობით და საერთაშორისო სამართლით უზრუნველყოფილი გრენლანდიელი ხალხის თვითგამორკვევის უფლების გათვალისწინებით, კომისიამ უნდა განიხილოს და წარმოადგინოს წინადადებები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მოხდეს გრენლანდიის ხელისუფლებისთვის მეტი ძალაუფლების მინიჭება იქ, სადაც ეს კონსტიტუციურად შესაძლებელია", - აღნიშნულია კომისიის მოხსენებაში (2008, p.4). ამის შემდეგ, 2008 წელს ჩატარებულ რეფერენდუმზე, გრენლანდიის საზოგადოებას უნდა გადაეწყვიტა საშინაო მმართველობის თვითმმართველობით ჩანაცვლების საკითხი, რომელიც დამოუკიდებლობის უფრო მაღალ ხარისხს მოიაზრებდა. 39.000 ხმიდან, ამომრჩეველთა 75,5%-მა გაფართოებულ ავტონომიას დაუჭირა მხარი და მხოლოდ 23,6% იყო წინააღმდეგი (Göcke, 2009, p.103). შედეგად, 2009 წელს ძალაში შევიდა „გრენლანდიის თვითმმართველობის აქტი", რომლის მიხედვითაც გრენლანდიის მთავრობის კომპეტენციაში ექცეოდა ხელისუფლების 32 სფერო, მათ შორის სასამართლო სისტემა, მიგრაცია და სასაზღვრო კონტროლი (Naalakkersuisut- the government of Greenland, n.d).

აღნიშნული წინაპირობების გათვალისწინებით, ევროპის ეკონომიკური გაერთიანებიდან გამოსვლა შესაძლოა განხილული იყოს, როგორც გრენლანდიის დამატებითი ნაბიჯი თვითგამორკვევის გზაზე. როგორც კინგსბური აღნიშნავს, „თვითგამორკვევის მიღწევა ბევრი ფორმით არის შესაძლებელი და ის არ გულისხმობს მაინცდამაინც საკუთარი სახელმწიფოს ქონას" (Suksi, 1998, p.28). გრენლანდია თვითგამორკვევას შემდეგი ფორმებით ეძია: (ა) გრენლანდიის ელექტორატის ნების საწინააღმდეგოდ ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში გაწევრიანების კრიტიკა (1972 წლის რეფერენდუმი), (ბ) საშინაო მმართველობის უფლების მოპოვება (1979), (გ) რეფერენდუმი ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დატოვების საკითხზე (1982), (დ) ევროპის ეკონომიკური გაერთიანებიდან გამოსვლა (1985) და (ე) თვითმმართველობის ჩამოყალიბება (2009). სავსებით შესაძლებელია, რომ გრენლანდიის თვითგამორკვევის საბოლოო ნაბიჯი სახელმწიფოებრიობის გამოცხადება იყოს, თუმცა, სუსტი ეკონომიკური საფუძვლის გამო, ამ ეტაპზე გრენლანდიისთვის თვითმმართველობა უფრო მისაღებ მოდელს წარმოადგენს. „დამოუკიდებლობა მნიშვნელოვანია, მაგრამ არა პატარა ბავშვისთვის, რომელიც მშიერი იძინებს, და გრენლანდიაში ბევრი ასეთი ბავშვია", - განაცხადა ოპოზიციის ლიდერმა იენს ფრედრიკსენმა (Kucera, 2008, n.d.).

ამ მხრივ საგულისხმოა გრენლანდიის ნავთობისა და ბუნებრივი აირის რეზერვები. 2008 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების გეოლოგიური კვლევის (USGS) სააგენტომ გამოაქვეყნა არქტიკის რეგიონში ნავთობისა და ბუნებრივი აირის პოტენციალის შეფასების ანგარიში, რომლის მიხედვითაც, გრენ-

ლანდიის რეზერვუარებში აკუმულირებულია დაახლოებით 52 მილიარდი ბარელის ოდენობის ნავთობი და მისი ექვივალენტი ბუნებრივი აირი (Kay & Thorup, 2014, n.d.).[4]

	Oil (MMBO)	Total Gas (BCF)	NGL (MMBNGL)	BOE (MMBOE)
East Greenland Rift Basins	8,902	86,180	8,121	31,387
West Greenland - East Canada	7,274	51,818	1,153	17,063
North Greenland Sheared Margin	1,350	10,207	274	3,324
TOTAL	**17,526**	**148,205**	**9,548**	**51,774**

წყარო: *Andrews Kurth*

თუ ნავთობისა და ბუნებრივი აირის რეზერვების ათვისება რეალობად იქცა და გრენლანდიამ მათზე დაყრდნობით მოახერხა თვითკმარი და მდგრადი ეკონომიკის განვითარება, სავსებით მოსალოდნელია, რომ ავტონომიის გაფართოების სურვილი, საბოლოოდ, დანიისგან გამოყოფითა და გრენლანდიის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებით დასრულდეს. გრენლანდიის მე-5 პრემიერ-მინისტრმა, ალექა ჰამონდმა (2013-2014), განაცხადა, რომ „იმ შემთხვევაში, თუ გრენლანდია ეკონომიკურად თვითკმარი გახდება, დამოუკიდებლობა პრაქტიკულ შესაძლებლობად იქცევა. ჩვენ ვიცით, რომ ვფლობთ ოქროსა და ბრილიანტებს, ნავთობს და მსოფლიოში ყველაზე სუფთა წყლის დიდ მასას. ყოველივე ეს შესაძლოა უფრო ადრე მოხდეს, ვიდრე ჩვენ გვგონია“ (Howard, 2009, p.212).

ჰანს-ჰოაქიმ ჰაინცე განმარტავს, რომ „გარკვეული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, ავტონომიური რეგიონის ხალხს შეუძლია თვითგამორკვევის უფლების მოთხოვნა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. ასეთ შემთხვევაში, ავტონომია შესაძლოა იყოს პირველი ნაბიჯი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად“ (Suksi, 1998, p.30). გრენლანდიისთვის, შესაძლოა, ეკონომიკური თვითკმარობა იყოს ის „გარკვეული გარემოება“, რომელიც მას თვითმმართველობიდან სახელმწიფოებრიობამდე მიიყვანს.

რაც შეეხება ავტონომიის გაფართოების ინტერესის მეორე ასპექტს, უფრო კონკრეტულად, ადგილობრივი რესურსების ყოვლისმომცველ კონტროლს, მმართველ პარტიას სურდა გრენლანდიის მასშტაბით თევზჭერის უფლების ერთპიროვნული რეგულირება, ნაცვლად ამ უფლების ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მსგავსი ზეეროვნული ორგანოსთვის გადაცემისა. თევზჭერა ყოველთვის იყო გრენლანდიის წამყვანი ინდუსტრია საერთო მოცულობისა და დასაქმების პროცენტული მაჩვენებლის თვალსაზრისით. იმ დროისთვის, როდესაც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დატოვება გრენლანდიის მთავრობის პრიორიტეტად განისაზღვრა, საერთო სამუშაო ძალა 25.000 ადამიანს შეადგენდა, საიდანაც 2419 (11%) თევზჭერის ინდუსტრიაში იყო დასაქმებული (Lyck & Taagholt, 1987, p.54). შესაბამისად, გრენლანდიისთვის თევზი საკვანძო ადგილობრივ რესურსს წარმოადგენდა, რომელზეც შესაძლებელი იყო მომავალში მისი თვითკმარი ეკონომიკური ზრდის და შედეგად, გრძელვადიან პერსპექტივაში, დამოუკიდებლობის დაშენება.

გრენლანდიის მთავრობა „საკუთარი თევზის დასაჭერად ბრიუსელისგან ნებართვის აღების“ ვალდებულებას შემზღუდველ ფაქტორად მიიჩნევდა, - როგორც ეს მთავრობის წევრმა მოსეს ოლსენმა განაცხადა გრენლანდიისა და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების კონფერენციაზე (ციტირებულია: Johansen, Sorensen, 1983, p.277). ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებზე კონტროლი თვითმმართველობისთვის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნეოდა, რომელსაც, მთავრობის ხედვით, საფუძველს აცლიდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების პოლიტიკა. „გრენლანდიის საზოგადოებას სურს თავისი სიცოცხლისუნარიანობის დემონსტრირება საკუთარი ეკონომიკის განვითარებით, რომელიც დაფუძნებული იქნება ადგილობრივად წარმოებულ ღირებულებაზე. შესაბამისად, თვითმმართველობისთვის აუცილებელია თევზჭერისა და თევზის დამუშავების სრულად ადგილობრივ დონეზე შენარჩუნება იმისათვის,

[4] ანგარიში შეგიძლიათ იხილოთ ამერიკის შეერთებული შტატების გეოლოგიური კვლევის (USGS) სააგენტოს გამოცემების ბაზაში, „არქტიკის გარშემო არსებული რესურსების შეფასება: აღმოუჩენელი გაზისა და ბუნებრივი აირის შეფასება არქტიკული წრის ჩრდილოეთ ნაწილში“, http://pubs.usgs.gov/fs/2008/3049/fs2008-3049.pdf

რომ ძლიერი ეკონომიკის მქონე საზოგადოების ჩამოყალიბება რეალობად იქცეს“, - აღნიშნულია მთავრობის 1981 წლის ოფიციალურ განცხადებაში (ციტირებულია: Harhoff, 1983, p.23).

მეორე მხრივ, წარმოების მოცულობის გასაზრდელად საჭირო იყო მნიშვნელოვანი ინვესტიციები, რომლებსაც ნაწილობრივ, სწორედ, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მიერ გაცემული გრანტები და სესხები უზრუნველყოფდა. გაერთიანების წევრობის პერიოდში, გრენლანდიამ საერთო ფონდებიდან გრანტის სახით მიიღო 680 მილიონი დანიური კრონი და ასევე, იმავე პერიოდში გადაეცა 330 მილიონი დანიური კრონი ევროპის საინვესტიციო ბანკისგან (Johansen & Sorensen, 1983, p.270). ის, ასევე, სარგებლობდა საერთო ბაზარზე წვდომით, სადაც თევზის მრეწველობის პროდუქტები გაჰქონდა (Kramer, 1983, p.281). გრენლანდიის ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში გაწევრიანების დოკუმენტებს შორის განსაკუთრებით საგულისხმოა პროტოკოლი N4, რომელიც გარკვეულწილად ზღუდავდა გაერთიანების უფლებამოსილებას გრენლანდიის ტერიტორიაზე (Kramer, 1983, p.274). უფრო კონკრეტულად, დოკუმენტი ადასტურებდა გრენლანდიის თევზის მრეწველობის სპეციფიურ ხასიათს. შესაბამისად, გრენლანდიელი მეთევზეების საჭიროებებს უპირატესობა ენიჭებოდა და გრენლანდიის სანაპიროს გასწვრივ 12 მილის რადიუსის ტერიტორია მხოლოდ მათთვის იყო გამოყოფილი (Kramer, 1983, p.275), - რაც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მხრიდან მნიშვნელოვან დათმობას წარმოადგენდა. სხვა ქვეყნებს, ძირითადად დასავლეთ გერმანიას, წვდომა ჰქონდათ დანარჩენ სანაპირო წყლებზე 200 მილის რადიუსში. მიუხედავად ამისა, აკადემიურ ლიტერატურაში ხშირად არის მოხსენიებული, რომ გრენლანდიელები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მათ წყლებში ევროპის ეკონომიკური გაერთიანების გემების ჭარბი თევზჭერის გამო (იხილეთ, მაგ.,: Alfredsson, 1983, p.292). როგორც „ნიუ-იორქ თაიმსი“ წერდა ნუუკიდან 1982 წელს, არსებობდა „ფართოდ გავრცელებული უკმაყოფილება ექსკლუზიურად გრენლანდიურ საქმეებში საერთო ბაზრის ჩარევასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, ეს ეხება თევზჭერას, რომელიც [გრენლანდიის] ეკონომიკის საყრდენს წარმოადგენს“ (Borders, 1982).

ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და გრენლანდიის ერთობლივი თევზჭერის პოლიტიკას პრობლემები შეუქმნა გრენლანდიის წყლებში თევზჭერის უფლების მინიჭებამ გაერთიანების ისეთი წევრებისთვის, როგორებიც იყვნენ პორტუგალია, ნორვეგია, დასავლეთ გერმანია (Kramer, 1983, p.279), და გრენლანდიურ წყლებში გაერთიანების წევრების მხრიდან არალეგალური თევზჭერის ცალკეულმა ფაქტებმა (დებატები ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატაში, 1984). გრენლანდიისთვის ყველაზე პრობლემური იყო დასავლეთ გერმანიის სათევზაო გემებთან დაკავშირებული შემთხვევა. თუმცა, ცნობილია, რომ მოგვიანებით, გერმანულმა მხარემ ბოდიში მოიხადა ნახსენები ინციდენტების გამო და პირობა დადო, რომ მსგავსი დარღვევები აღარ განმეორდებოდა (Kramer, 1983, p.279). გარდა ამისა, აღმოსავლეთ სანაპიროზე განთავსებული იყო კარგად აღჭურვილი საკონტროლო დანაყოფები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა გრენლანდიის პრობლემების მოსაგვარებლად (Kramer, 1983, p.280). ოპოზიციურ პარტია „ათასუთს“, ასევე, სჯეროდა, რომ ამ ტიპის პრობლემების მოგვარება შესაძლებელი იყო მოლაპარაკებების საშუალებით (Johansen & Sorensen, 1983, p.273), მაგრამ გრენლანდიის მთავრობას არ სურდა მის ხელთ არსებული ინსტრუმენტების გამოყენება და თანამშრომლობა. ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მიმართ გრენლანდიის უკმაყოფილების მიზეზი გაერთიანების თევზჭერის პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული ზემოთ ნახსენები რამდენიმე არასასიამოვნო ინციდენტი რომ ყოფილიყო, მაშინ გრენლანდიის მთავრობა აღნიშნული პრობლემის გადაჭრას, პირველ რიგში, ორგანიზაციის შიგნით შეეცდებოდა და არა მის გარეთ. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, „რეალურ საკითხს წარმოადგენდა პოლიტიკა და არა თევზი“, როგორც ორვიკმა (1984) მახვილგონივრულად აღნიშნა 1984 წლის თევზჭერის შეთანხმების შეფასებისას (p.952). ამ მხრივ საგულისხმოა შემთხვევა, როდესაც გრენლანდიის აღმოსავლეთ სანაპიროზე დასავლეთ გერმანიისთვის დამატებითი თევზჭერის კვოტების გადაცემამ მოსახლეობაში უკმაყოფილება გამოიწვია იმის მიუხედავად, რომ თვითონ გრენლანდიელები ამ წყლებში არ თევზაობდნენ (Kramer, 1983, p.280). ნაკლებად შესაძლებელია, რომ ყოველივე ამის მიზეზი ეკონომიკური ხასიათის ყოფილიყო. გრენლანდიელების უკმაყოფილების აქამდე განხილული ყველა სხვა შემთხვევის მსგავსად, ძირითადი მიზეზი ამჯერადაც გრენლანდიის ავტონომიის გაფართოების ინტერესი იყო.

რომ შევაჯამოთ, პროცესის მიყოლამ აჩვენა, რამდენად იყო ევროპის ეკონომიკური გაერთიანებიდან გამოსვლის გადაწყვეტილება გრენლანდიის თვითგამორკვევისკენ მიმავალი გზის ნაწილი. გრენლანდია გაერთიანებაში თავისივე საზოგადოების ნების საწინააღმდეგოდ გაწევრიანდა და თვითმმართველობის უფლების მოპოვებისთანავე დატოვა ორგანიზაცია გაზრდილი ავტონომიის მისაღწევად. გაერთიანების წევრობამ ორმაგად შეზღუდა გრენლანდია პოლიტიკის შემუშავების მიმართულებით, რადგანაც

ის ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა როგორც დანიის, ასევე ევროპის ეკონომიკური გაერთიანების პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრიორიტეტები. განსაკუთრებით თევზჭერის სფეროში, გრენლანდია ეწინააღმდეგებოდა ნებისმიერი ტიპის გარე უფლებამოსილების გავრცელებას საკუთარ წყლებზე, რადგან თევზჭერის ინდუსტრია მომავალში თვითმმართველი გრენლანდიის ეკონომიკურ საფუძვლად მოიაზრებოდა. აქედან გამომდინარე, ევროპის ეკონომიკური გაერთიანებიდან გამოსვლა გრენლანდიის მთავრობის მიერ ავტონომიის გაფართოების შესაძლებლობად აღიქმებოდა, რომელიც დამოუკიდებელი პოლიტიკის შემუშავების უფლებამოსილების კონსოლიდირებასა და საკუთარ ადგილობრივ რესურსებზე ყოვლისმომცველი კონტროლის მოპოვებას გულისხმობდა.

ეკონომიკური კეთილდღეობა: ევროპის ეკონომიკური გაერთიანებიდან გრენლანდიის გამოსვლის ეკონომიკური ინტერესი

ვენდტის (1999) მიხედვით, *ეკონომიკური კეთილდღეობა* გულისხმობს „საზოგადოებაში წარმოების საშუალებების, და უფრო ფართო გაგებით, სახელმწიფოს რესურსების ბაზის შენარჩუნებას“, და არა მაინცდამაინც ეკონომიკურ მოგებას (p. 236). შესაბამისად, გრენლანდიის მიერ ზღვისგადაღმა ქვეყნებისა და ტერიტორიების (OCT) სტატუსის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების *პროცესის მიყოლის* მეთოდის საშუალებით, ნაჩვენებია, რომ ევროპის ეკონომიკური გაერთიანებიდან გამოსვლის მიზეზი არ იყო რაიმე ტიპის ეკონომიკური საფრთხე ან რაიმე სახის რეალური ეკონომიკური მოგება. გადაწყვეტილების მთავარი მიზანი მიღწეული ეკონომიკური კეთილდღეობის შენარჩუნება იყო, თუმცა, გაერთიანების გარეთ. ცენტრალური მნიშვნელობის იყო პოლიტიკური სტატუსი ევროპის ეკონომიკური გაერთიანებასთან მიმართებით.

როგორც უკვე საფუძვლიანად გაანალიზდა სტატიის წინა ნაწილში, ძირითადი მიზეზი, რის გამოც თვითმმართველობა გრენლანდიისთვის თვითგამორკვევის ყველაზე მეტად მისაღები ფორმა აღმოჩნდა, იყო ეკონომიკური დამოკიდებულება დანიაზე. ტოგჰოლტის და კლაუსის (2001) შეფასებით, „ზოგიერთ გრენლანდიელს სურს დანიისგან დამოუკიდებელი თვითკმარი გრენლანდია. თუმცა, თვითკმარობა ცხოვრების სტანდარტის მნიშვნელოვნად გაუარესებას გულისხმობს“ (p.72). გრენლანდიის სახელმწიფო ბიუჯეტის 57% და მისი მთლიანი შიდა პროდუქტის 30% დანიის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ივსებოდა (Greenland’s Statistics, n.d.). გრენლანდიის მთავრობა სუბსიდიის ფორმით იღებდა სამ მილიარდ დანიურ კრონს (დაახლოებით 600 მილიონი დოლარი), რაც ერთ სულ მოსახლეზე 10 000 დოლარს უტოლდება (Kucera, 2008, p.40). ანალოგიურად, ევროპის ეკონომიკური გაერთიანებიდან გამოსვლა გულისხმობდა საერთო ბაზარსა და გაერთიანების ფინანსურ დახმარებაზე წვდომის დაკარგვას. 1973-1981 წლებში, გრენლანდიამ, როგორც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრმა, გრანტების სახით მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება მიიღო რეგიონული განვითარების ფონდისგან (ERDF) – 300-ზე მეტი პროექტი, თითოეული 10 მილიონის ბიუჯეტით ევროპის სავალუტო ერთეულში (ეკიუ), ევროპის საზოგადოებრივი ფონდისგან (ESF) - დაახლოებით 30 მილიონი ეკიუ, და ევროპის სოფლის მეურნეობის სახელმძღვანელო და საგარანტიო ფონდისგან (EAGFF ან FEOGA) – 2 მილიონზე მეტი ეკიუ (Harhoff 1983, p.20). გრენლანდიამ ასევე მიიღო ჯამში 52.2 მილიონი ეკიუს ოდენობის სესხი ევროპის საინვესტიციო ბანკისგან (EIB) (Commission Communication, p.17). 1981 წლის სექტემბრამდე, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების საერთო ინვესტიცია გრენლანდიაში 962 მილიონ დანიურ კრონს შეადგენდა (Kramer, 1983, p.275). კრამერი (1983) ზუსტად ხსნის ევროპის ეკონომიკური გაერთიანებიდან გამოსვლის რისკებს გრენლანდიისთვის: „თუ ის [გრენლანდია] დატოვებს ევროპის გაერთიანებას სპეციალური შეთანხმების მიღების გარეშე, კუნძული თავად გახდება მესამე ქვეყანა და მის პროდუქტებს ერთიანი საგარეო ტარიფისა და სხვა ბარიერების გადალახვა მოუწევს. ასეთ შემთხვევაში, ადვილად წარმოსადგენია ის სირთულეები, რომლის წინაშეც დადგება გრენლანდიის ჯერ კიდევ ახალგაზრდა საექსპორტო ინდუსტრია იმისთვის, რომ მოახერხოს ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში გაყიდვების გაფართოვება (ეკონომიკურად დაზღვეულ) გაერთიანების მეთევზეებთან ძლიერი კონკურენციის პირობებში...“ (p.286). მაშინ, საინტერესოა, თუ რა ეკონომიკური გამართლება ჰქონდა გაერთიანების დატოვებას თევზჭერის ინდუსტრიისთვის, და ზოგადად, გრენლანდიისთვის? ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და დანიის მიმართ გრენლანდიის დამოკიდებულების შედარების საფუძველზე, შესაძლოა ითქვას, რომ გაერთიანების გარეთ ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის გეგმის გარეშე, ავტონომიის გაფართოების ინტერესი ვერ იქნებოდა საკმარისი მიზეზი გრენლანდიის მიერ გაერთიანების დასატოვებლად, იმდენად, რამდენადაც იგივე მიზეზი საკმარისი არ აღმოჩნდა დანიისგან გამოსაყოფად.

ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასა და მესამე ქვეყნებს შორის ურთიერთობების იმ დროისთვის არსებულ ფორმატებს შორის, გრენლანდიისთვის ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტიის თვალსაზრისით ყველაზე პერსპექტიული აღმოჩნდა ზღვისგადაღმა ქვეყნებისა და ტერიტორიების (OCT) სტატუსი. აღნიშნული სტატუსი გულისხმობდა სავაჭრო სარგებელს (გრენლანდიის თევზისა და თევზის პროდუქტების უტარიფო წვდომა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ერთიან ბაზარზე) და ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას ევროპის განვითარების ფონდისგან (Kramer, 1983, p.288). უფრო მეტიც, გრენლანდიას სურდა აღნიშნული სარგებლის მიღება თავისი წილი ვალდებულებების აღების გარეშე. 1982 წლის სექტემბერში, „სიუმუთის“ პარტიის ყოველწლიურ კონფერენციაზე, გრენლანდიის მთავრობამ განაცხადა, რომ არ დათანხმდებოდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისთვის საკუთარ წყლებზე უფლებამოსილების გადაცემას ზღვისგადაღმა ქვეყნებისა და ტერიტორიების (OCT) სტატუსის მიღების სანაცვლოდ (Johansen & Sorensen, 1983, p.276). მკაფიოდ ითქვა, რომ თუ გაერთიანების წევრებს სურდათ გრენლანდიის წყლებში თევზჭერის გაგრძელება, მათ ამისთვის ლიცენზიის უნდა შეეძინათ. გაერთიანების დატოვების შესახებ მთავრობის გადაწყვეტილების ძირითადი ლოგიკა შემდეგი იყო: გრენლანდია სრულად დაიბრუნებდა კონტროლს თავისი წყლების 200-მილიან ზონაზე და შემდეგ, ამ ტერიტორიაზე თევზჭერის უფლებას მიჰყიდდა გაერთიანების დაინტერესებულ წევრებს. მმართველ პარტიას სჯეროდა, რომ ამით ევროპის ეკონომიკური გაერთიანებიდან გამოსვლის შედეგად დაკარგული ფინანსური დახმარების კომპენსირებას და შესაბამისად, გაერთიანების გარეთ, სულ მცირე, იმავე ხარისხის ეკონომიკური კეთილდღეობის შენარჩუნებას მოახერხებდა, რაც მას გაერთიანების შიგნით ჰქონდა. თუმცა, ამგვარი ცალმხრივი გაანგარიშება მიუღებელი იყო ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისთვის. გაერთიანება არ დაუშვებდა გრენლანდიასთან ცალმხრივად მომგებიანი შეთანხმების დადებას, რადგან ასეთი შეთანხმება იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების პრივილეგიების მიღება მისი წევრობის თანმხლები ვალდებულებების აღების გარეშეც იყო შესაძლებელი. სწორედ, ამის გამო, გრენლანდიის სტატუსის შესახებ მოლაპარაკებები 1982 წლის რეფერენდუმის შემდეგ კიდევ 2 წლის განმავლობაში გაგრძელდა. „სიუმუთის“ პარტიას უკან დახევა მოუწია და საბოლოოდ დათანხმდა თევზჭერის შეთანხმებას (1984), რომელიც ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას გრენლანდიის წყლებში თევზჭერის უფლებას აძლევდა. ამის სანაცვლოდ, გრენლანდიამ მოახერხა საერთო ბაზარზე თავისუფალი წვდომის შენარჩუნება და წელიწადში 216 მილიონი კრონის ოდენობის ფინანსური დახმარების მოპოვება (Orvik, 198, p.951), რაც, შესაძლოა, ორივე მხარისთვის სასარგებლო შეთანხმებად ჩაითვალოს. გრენლანდიის სურვილი არსებული ეკონომიკური კეთლდღეობის შენარჩუნების შესახებ მაინც დაკმაყოფილდა.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, შესაძლოა ითქვას, რომ ავტონომიის გაფართოების ინტერესი გადამწყვეტი იყო, მაგრამ, ასევე, მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური არგუმენტი! გრენლანდიელების გაბედული გადაწყვეტილება ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დატოვების შესახებ ეყრდნობოდა მათ მოლოდინს, რომ გაერთიანების ფინანსური დახმარება და თევზჭერის სფეროში თანამშრომლობა გრენლანდიისთვის სასარგებლო რაიმე ფორმით კვლავ გაგრძელდებოდა. სხვა შემთხვევაში, გაერთიანების დატოვება გრენლანდიისთვის არახელსაყრელი იქნებოდა. „ნიუ-იორქ თაიმსის“ კორესპონდენტი უილიამ ბორდერსი (1982) იმ პერიოდში ნუუკიდან იტყობინებოდა, რომ „გრენლანდიელებს სურთ რაიმე ტიპის ასოცირებული წევრის სტატუსზე შეთანხმება ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ერთიან ბაზართან, რომელიც ამ დრომდე გრენლანდიას წელიწადში 20 მილიონ დოლარამდე ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფდა და ამ სტატუსზე შეთანხმებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს გაერთიანების დატოვების სურვილზე - რეფერენდუმი მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათის იყო“, (აბზაცი 9). კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც ამტკიცებს ეკონომიკური ფაქტორის მნიშვნელობას გრენლანდიის ავტონომიის გაფართოების ინტერესისთვის არის ის ფაქტი, რომ 1984 წელს, მთავრობა დათანხმდა გაერთიანებასთან თევზჭერის შეთანხმებით ადგილობრივ რესურსებზე გრენლანდიის კონტროლის შეზღუდვას. დანიისგან გრენლანდიის დამოუკიდებლობის შესაძლებლობის განხილვისას, „სიუმუთის“ სპიკერმა ჯონათამ მოცფელდმა განაცხადა, რომ „სუვერენიტეტი დამოკიდებული იქნება გრენლანდიის შესაძლებლობაზე, უზრუნველჰყოს დამოუკიდებელი ეკონომიკური განვითარება და საჭირო იქნება პოლიტიკური და ეკონომიკური მოსაზრებების ფრთხილი ბალანსი“ (ციტირებულია: Taagholt and Claus, 2001, p.71). მსგავსად, გრენლანდიის გადაწყვეტილება ევროპის ეკონომიკური გაერთიანებიდან გამოსვლის შესახებ პოლიტიკური მიზნებისა და ეკონომიკური ინტერესების ურთიერთშეჯერების შედეგი უნდა ყოფილიყო.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გრენლანდიის მთავრობას ჰქონდა ეკონომიკური გეგმა, რომლის საფუძველზეც მიღებულ იქნა პოლიტიკური გადაწყვეტილება ევროპის ეკონომიკური გაერთიანებიდან გამოსვლის შესახებ. საბოლოოდ, აღნიშნული გეგმა

ზღვისგადაღმა ქვეყნებისა და ტერიტორიების (OCT) სტატუსის მიღების ფორმით განხორციელდა და ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტად იქცა. ყოველივე ამან ნიადაგი მოამზადა ავტონომიის გაფართოების მთავარი ინტერესის განხორციელებისთვის, რაც 1985 წელს გრენლანდიის მიერ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ოფიციალურად დატოვებაში გამოიხატა. ზღვისგადაღმა ქვეყნებისა და ტერიტორიების (OCT) სტატუსი, გაერთიანების წევრობის სანაცვლოდ, პოლიტიკურად დამოუკიდებელი და ეკონომიკურად თვითკმარი გრენლანდიის ჩამოყალიბების შესაძლებლობად აღიქმებოდა.

ნაწილი 2. გადაწყვეტილების მიღების პროცესი საზოგადოებრივ დონეზე

1982 წლის 23 თებერვლის რეფერენდუმზე, გრენლანდიის საზოგადოებას არჩევანი უნდა გაეკეთებინა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში დარჩენასა და გაერთიანებიდან გამოსვლას შორის. მმართველი პარტია „სიუმუთი“ და ოპოზიციური პარტია „ათასუთი“ ერთმანეთის საპირისპირო კამპანიას აწარმოებდნენ, რომელშიც „სიუმუთი“ გაერთიანების დატოვებას, ხოლო „ათასუთი“ წევრობის შენარჩუნებას უჭერდა მხარს. „სიუმუთი“ მიიჩნევდა, რომ გრენლანდია მოახერხებდა გაერთიანების გარეთ ეკონომიკის განვითარებას ზღვისგადაღმა ქვეყნებისა და ტერიტორიების სტატუსის (OCT) საშუალებით, ხოლო „ათასუთის“ ხედვით, გრენლანდიის ეკონომიკის ბედი ზედმეტად ბუნდოვანი იყო საიმისოდ, რომ პარტიას გაერთიანების დატოვებისთვის დაეჭირა მხარი. მართალია, ნახსენები ორი პარტია განსხვავებულად აღიქვამდა გრენლანდიის ეკონომიკურ ინტერესს, თუმცა, სხვა მხრივ, „ათასუთიც“ ემხრობოდა გრენლანდიის ავტონომიის გაფართოებას (Orvik, 1984, 943), მსგავსად ყველა სხვა გრენლანდიელისა. საბოლოოდ, რეფერენდუმში წარმატებას მმართველმა პარტიამ მიაღწია და შეკითხვაზე „გსურთ თუ არა, გრენლანდია დარჩეს ევროპული გაერთიანების შემადგენლობაში“ ამომრჩეველთა 52%-მა „არა“ უპასუხა (Harhoff, 1983, p.13).

ევროპის ეკონომიკური გაერთიანების საკითხზე ჩატარებულ პირველ, 1972 წლის რეფერენდუმზე, გრენლანდიის ამომრჩეველთა 70%-მა ხმა გაერთიანების წევრობის წინააღმდეგ მისცა, თუმცა, 1982 წლის მეორე რეფერენდუმისთვის იგივე მაჩვენებელი 52%-მდე შემცირდა. გაერთიანების მიმართ დამოკიდებულების +20%-ით პოზიტიურად ცვლილების მიზეზი, სავარაუდოდ, იყო გაზრდილი ცხოვრების სტანდარტი ამ ათი წლის განმავლობაში. გარდა ამისა, გრენლანდიელები კონსერვატიული ტიპის ამომრჩევლები არიან და ეკონომიკურად სარისკო გადაწყვეტილებები მათგან ნაკლებად არის მოსალოდნელი (Orvik, 1984, p.938). მიუხედავად ამისა, ამომრჩევლისთვის მაინც უფრო დამაჯერებელი აღმოჩნდა „სიუმუთის“ და არა უფრო მეტად წინდახედული „ათასუთის“ მიერ შეთავაზებული ხედვა. მთავრობის მხრიდან ევროპის ეკონომიკური გაერთიანებიდან გამოსვლის მხარდამჭერი სუსტი ეკონომიკური არგუმენტის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კოლექტიური თვითრწმენა, როგორც ეროვნული ინტერესის კატეგორია, რომელიც ყველაზე უფრო მეტად გამოხატავდა გრენლანდიის საზოგადოების ინტერესს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ შეზღუდული გაგებით წარმოადგენდა 1982 წლის რეფერენდუმის შედეგები 10 წლით ადრე დაფიქსირებული პოზიციის რეფლექსიას და გადამწყვეტ ფაქტორად კოლექტიური იდენტობის სეკურიტიზაცია იქცა (იხ. ქვეთავი *“სეკურიტიზაციის დისკურსის ანალიზი 1982 წლის წინასარეფერენდუმო კამპანიისას”*).

კოლექტიური თვითრწმენა: ევროპეიზაციის საპირწონედ გრენლანდიური იდენტობის შენარჩუნების ინტერესი

ლინგეს მიხედვით, ადგილობრივი მმართველობისკენ სწრაფვის ათწლეული „ხასიათდებოდა ღირსების ძიებით, თვითცნობიერებითა და თანასწორ ეთნიკურ ჯგუფად აღიარების სურვილით“ (ციტირებულია: Graugaard, 2009, p.15), ან იმით, რასაც ალექსანდრ ვენდტი (1999) *კოლექტიურ თვითრწმენას* უწოდებს: „ჯგუფის მხრიდან თვითკმაყოფილების, პატივისცემისა და სტატუსის მოთხოვნილება“ (p.235-236). როგორც სტატიის პირველ ნაწილშია განხილული, 1970-იანი წლები ნამდვილად იყო გრენლანდიაში ეროვნული გამოღვიძებისა და ჯერ დანიზაციის, მოგვიანებით კი ევროპეიზაციის საწინააღმდეგოდ გრენლანდიზაციის დაწყების პერიოდი.

„სტატუსის არქონის ფსიქოლოგიურად აღქმული საფრთხე“ (Wendt, 1999, p.236), პარადოქსულად, გამოწვეული იყო დანიური მოდერნიზაციის პოლიტიკით (მე-20 საუკუნის შუა წლებში), რომელსაც გრენლანდიაში უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, რადგანაც ის „დანიზაციის“ მცდელობად იქნა აღქმული

(იხ. სტატიის ქვეთავი „ავტონომია“). დანიისგან მიღებულმა ეკონომიკურმა დახმარებამ, ერთი მხრივ, გააუმჯობესა ცხოვრების სტანდარტი, თუმცა მეორე მხრივ, გამოიწვია ტრადიციული კულტურის დაკარგვა (Kramer, 1983, p.276). „ნიუ-იორქ თაიმსის“ კორესპონდენტი გრენლანდიიდან წერდა, რომ “...მე-20 საუკუნის განვითარებებმა გაანადგურა ტრადიციული ესკიმოსების კულტურა და ბევრი ადამიანი საკუთარი კულტურული მემკვიდრეობისგან გააუცხოვა“ (Borders, 1982a, para.9). კრამერი (1983) ამტკიცებს, რომ შეუძლებელია ერთი კულტურის დანაკარგის სხვა კულტურის შეძენით კომპენსირება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ახალი კულტურის შეძენა უკეთეს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას გულისხმობს. კრამერი ფიქრობს, რომ სწორედ, ამ მიზეზის გამო იყო გრენლანდიური იდენტობა გადაჭარბებულად ხაზგასმული (p. 276).

ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გრენლანდიური იდენტობის ფორმირების მხრივ, ამჯერად ევროპეიზაციის საფრთხის წინააღმდეგ. „მატერიალური თვალსაზრისით, გრენლანდიაში ცხოვრების დონე გაუმჯობესდა, მაგრამ სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია სოციალური ცვლილებები ესკომოსების საზოგადოებაში, რომელიც ჯერ კიდევ ერთი თაობის წინ კონსერვატიული და ტრადიციული იყო“ - წერდა „ნიუ-იორქ თაიმსი“ 1982 წელს გრენლანდიიდან (Borders, 1982b, para.18). გრენლანდიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ჯონათან მოცფელდმა, რომელიც თვითონაც ესკიმოსური წარმოშობის იყო, განაცხადა: „ჩვენ იმდენად შორს ვართ ევროპისგან როგორც ჩვენი დამოკიდებულებებით, ასევე გეოგრაფიულად, რომ ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში ვერასდროს ვიგრძნობთ თავს ისე, როგორც საკუთარ სახლში“ (ციტირებულია: Borders, 1982c, para.6). იოჰანსენი და სორენსენი (1983) ადასტურებენ, რომ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების რეგულაციებზე დაქვემდებარება საფრთხეს უქმნიდა გრენლანდიის კულტურულ იდენტობას (p.272). კიდევ ერთი ესკიმოსური წარმოშობის პოლიტიკურმა ფიგურამ გრენლანდიაში, მოსეს ოლსენმა, განაცხადა: „ჩვენ საერთოდ არ ვართ ევროპელები. ჩვენი წინაპრები იზოლირებულად ცხოვრობდნენ, თავიანთ თავთან ჰარმონიაში. ისინი ძლიერები და ამაყები იყვნენ, რადგან უწევდათ მკაცრ გარემო პირობებთან გამკლავება და ამას წარმატებით ახერხებდნენ. მას შემდეგ, 30 წლის წინ, დაიწყო ეს დამანგრეველი და დაჩქარებული განვითარება დანიის მხრიდან. მათგან ბევრს კარგი განზრახვა ჰქონდა, თუმცა, ამის მიუხედავად, ჩვენი კულტურა მაინც დაზიანდა. ახლა ჩვენ მომავალი თაობის გადარჩენისკენ უნდა მივმართოთ ძალისხმევა (ციტირებულია: Borders, 1982b, para.22). შედეგად, იმ ფაქტმა, რომ ერის ფორმირება მიმდინარეობდა დანიზაციისა და ევროპეიზაციის პროცესის პარალელურად, ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობაში კულტურული დაუცველობის შეგრძნების გაჩენას შეუწყო ხელი. საშინაო მმართველობის უფლების მოპოვების შემდეგ, გრენლანდიურ იდენტობაზე კიდევ უფრო მეტი აქცენტი გაკეთდა. გრაუგორდის (2009) შეფასების მიხედვით, „საშინაო მმართველობამ ხელი შეუწყო სიამაყისა და თავდაჯერებულობის ახლებურ გამოხატვას“(p.60), როგორიც იყო, ამ შემთხვევაში, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დატოვება.

დანიზაციისგან განსხვავებით, ევროპეიზაციის შემთხვევაში, გრენლანდიური კულტურის დაკარგვის შიში პოლიტიკურადაც გამომჟღავნდა. მმართველი „სიუმუთის“ პარტიის 1982 წლის წინასარეფერენდუმო კამპანია ძირითადად ფოკუსირებული იყო კოლექტიური თვითრწმენის საზოგადოებრივ ინტერესზე და საბოლოო ჯამში, წარმატებასაც მიაღწია. ევროპის ეკონომიკური კავშირის წევრობა აღიქმებოდა გამოწვევად გრენლანდიური იდენტობისთვის, ხოლო გაერთიანებიდან გამოსვლა, და შედეგად ევროპისგან ჩამოშორება, დასუსტებული კოლექტიური თვითრწმენის დაბრუნების გზად ისახებოდა.

სეკურიტიზაციის დისკურსის ანალიზი 1982 წლის წინასარეფერენდუმო კამპანიისას

გრენლანდიის დანიისგან გამოყოფის შესაძლებლობის განხილვისას, ნილ ორვიკი (1984) საუბრობს საინტერესო მიგნების შესახებ, რომელიც ასევე შესაბამისობაში მოდის გრენლანდიის მიერ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დატოვების შემთხვევასთან: „სრული დამოუკიდებლობა და დანიისგან გამოყოფა ვერ იქნება წარმატებული, თუ ისინი არ იპოვიან რაიმე უკიდურესად ემოციურ საკითხებს, რომლებიც პირდაპირ მიმართებაში იქნება ხალხის შიშებსა და მომავლის იმედებთან იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს იმედითა და სიძულვილით გაჯერებულ კამპანიას“ (p.939). 1982 წლის წინასარეფერენდუმო კამპანიის შემთხვევაში, ამგვარ ემოციურ საკითხს წარმოადგენდა გრენლანდიური იდენტობა.

იოჰანსენისა და სორენსენის (1983) მიხედვით, წინასარეფერენდუმო „კამპანია აღმოჩნდა ხანგრძლივი, ძვირადღირებული და - გრენლანდიის ტრადიციებისგან განსხვავებით - უხეში და მწვავე. წერილობითი კამპანიის დიდი ნაწილი ბრაზისა და იმედგაცრუების ტონით ხასიათდებოდა“ (p.272). მმართველმა

პარტია „სიუმუთმა“ ემოციებით მანიპულირების გზას მიმართა: ევროპის ეკონომიკური გაერთიანება გრენლანდიური იდენტობის მტრად იყო დახატული. გარდა სტატიის წინა ნაწილებში გაანალიზებული მთავრობის წარმომადგენლების განცხადებებისა, გრენლანდიური იდენტობის წინაშე მდგარი საფრთხე ასევე გამოხატული იყო ემოციურად დატვირთული ფოტოებით: „გაერთიანების დატოვების მხარდამჭერ ერთ-ერთი პოსტერზე, რომელიც ასობით შენობაზე იყო დამაგრებული, გამოსახული იყო კაიაკში მჯდარი სამი ესკიმოსი, რომლებიც გრენლანდიის ევროპის რუკასთან დამაკავშირებელ მძიმე შავ ჯაჭვებს ამსხვრევდნენ და საზეიმოდ გამოჰყავდათ კუნძული ევროპული სივრციდან“, პოსტერზე იკითხებოდა „მემკვიდრეობა უნდა გაძლიერდეს“ - წერდა ადგილზე მყოფი „ნიუ-იორქ თაიმსის“ ჟურნალისტი (Borders, 1982c, para.13). რაც შეეხება ოპოზიციას, პარტია „ათასუთის“ წევრები ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრობის შენარჩუნების მხარდამჭერ კამპანიას ატარებდნენ და ხაზს უსვამდნენ ისეთ ეკონომიკურ სარგებელს, როგორიც იყო დასაქმებისა და განვითარების მაღალი დონე, საერთო ბაზარზე წვდომა, ფინანსური დახმარება და ა.შ. „კამპანიის ტექსტები ხაზს უსვამდა განვითარების სარგებელს, რომელიც გაერთიანების წევრობას ახლდა თან. პოსტერებზე გამოსახული იყო დაავადებული ბიჭი, მოხუცი ქალი, თუ ახალგაზრდა დაქორწინებული წყვილი, რომელიც საცხოვრებელ ადგილს ეძებდა, წარწერით „გაგვიხსენეთ და აირჩიეთ ‘დიახ’, - წერდა „ნიუ-იორქ თაიმსის“ ჟურნალისტი 1982 წლის კამპანიის პერიოდში გრენლანდიიდან (Borders, 1982b, para.17).

ემოციებისა და საღი აზრის დაპირისპირება, როგორც ჩანს, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების საკითხზე ჩატარებულ რეფერენდუმებს შორის გავრცელებულ ტენდენციას წარმოადგენს. მსგავსი სტრატეგიის შესახებ საუბრობს ჰანს რედერი თავის მიმოხილვაში დანიის 1972 წლის წინასარეფერენდუმო კამპანიის შემთხვევაშიც, რომლის სათაურიცაა ‘არას’ მხარე ემოციებზე დაყრდნობით საუბრობს, ხოლო ‘დიახ’ მხარე - საღი აზრის“. რედერის (2012) ჰიპოთეზაა, რომ „ევროკავშირის მხარდამჭერი პოლიტიკოსები, ეკონომისტები და ბიზნესმენები საუბრობენ მის სასარგებლოდ ხმის მიცემის ეკონომიკურ საჭიროებაზე, მაგრამ ამომრჩეველს ხიბლავს სკეპტიკოსების არგუმენტები ეროვნული ღირსების, იდენტობისა და დამოუკიდებლობის შესახებ“ (პარაგრაფი 1). როგორც ჩანს, აღნიშნული ჰიპოთეზა ვალიდურია გრენლანდიის შემთხვევაშიც. ოლესენი აანალიზებს იმავე, ევროპის ეკონომიკური გაერთიანების საკითხზე ჩატარებულ 1972 წლის დანიის რეფენდუმს და ხსნის, რომ ‘დიახ’ მხარის წარმომადგენლები ყოველთვის უფრო რთულ მდგომარეობაში იყვნენ, რადგან მათ მუდმივად უწევდათ იმ სარგებლის დასაბუთება, რომელიც შესაძლოა გვქონოდა... ამის საპირისპიროდ, ‘არას’ მომხრეები ეყრდნობოდნენ იმის დაკარგვის შიშს, რაც უკვე გვქონდა“ (ციტირებულია: Redder, 2012, para 14). ანალოგიურად, გრენლანდიის შემთხვევაში, პარტია „ათასუთი“ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მხარდამჭერ არგუმენტად წევრობის ეკონომიკურ სარგებელს იყენებდა, ხოლო პარტია „სიუმუთი“ გრენლანდიური იდენტობის დაკარგვის საფრთხით მანიპულირებდა (მოგებისა და დანაკარგის ურთიერთდაპირისპირება). ევროპის მოწინააღმდეგებმა შეძლეს თავიანთი მესიჯის ხალხის გულებამდე მიტანა, რადგან „უფრო მარტივია ოპონირება და ძლიერი ემოციებით მანიპულირება, ვიდრე პოსტერის საშუალებით ხალხის დარწმუნება, რომ ‘ეკონომიკურად პასუხისმგებლიანები’ იყვნენ“, - ამგვარად ხსნის დანიელი მკვლევარი, ლარს სიბდალი, თუ რატომ იგებს ყოველთვის ემოციური არგუმენტი (ციტირებულია: Redder, 2012, para.12), როგორც ეს გრენლანდიის შემთხვევაში მოხდა.

„სიუმუთის“ პარტიის მიერ რეფერენდუმის წინ ჩატარებული კამპანია *სეკურიტიზაციის* კარგ მაგალითს წარმოადგენს. სეკურიტიზაციის თეორია მიჰყვება კონსტრუქტივიზმის ლოგიკას და მნიშვნელოვან როლს თამაშობს საფრთხეების სოციალურად კონსტრუირების გააზრებაში. სეკურიტიზაცია გულისხმობს საკითხის „საფრთხის შემცველად წარმოჩენას იმგვარად, რომ სხვები ისმენენ და ირწმუნებენ მას, ან სულ მცირე რწმუნდებიან იმაში, რომ აუცილებელია აღნიშნული საკითხის მიმართ ყურადღების გამოჩენა (Eriksson & Noreen, 2002, p.10). სეკურიტიზაციის აქტორს რეფერენტული ობიექტი უსაფრთხოების სფეროში გადაჰყავს და კონკრეტული აუდიტორიის თვალში მას საფრთხედ წარმოაჩენს. „იმ შემთხვევაში, თუ აუდიტორია მას ასეთად მიიღებს და როდესაც ეს მოხდება“, სეკურიტიზაციის პროცესი წარმატებულად ითვლება, ესე იგი „მოხდა საკითხის სეკურიტიზაცია” (Buzan, Weaver & Wilde, 1998, p.25). *სეკურიტიზაციის აქტორში* იგულისხმება ის, ვინც პასუხისმგებელია სეკურიტიზაციის ქმედებაზე, ხოლო *რეფერენტული ობიექტი* გულისხმობს „რაიმეს, რაც აღქმულია, როგორც არსებითი საფრთხის ქვეშ მყოფი და რომელსაც აქვს გადარჩენის ლეგიტიმური მოთხოვნილება“ (Buzan, Weaver, & Wilde, 1998, p.36). შესაბამისად, ამ შემთხვევაში სეკურიტიზაციის აქტორს წარმოადგენს მმართველი პარტია „სიუმუთი“, რეფერენტულ ობიექტს - გრენლანდიური იდენტობა, ხოლო სამიზნე აუდიტორიას - გრენლანდიის საზოგადოება (ელექტორატი). საბოლოო ჯამში, რეფერენდუმის შედეგები ევროპის ეკონომიკური გა-

ერთიანების დატოვების სასარგებლოდ შესაძლოა აიხსნას, როგორც აუდიტორიის მხრიდან „თანხმობა“, რაც სეკურიტიზაციის პროცესის წარმატებაზე მიანიშნებს.

ბუზანის, ვივერისა და ვაილდის მიხედვით, მთავრობების მიერ ეროვნული ინტერესების სეკურიტიზაციის ობიექტად გამოყენება გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს (Buzan, Wæver & Wilde, 1998, p.123). როგორც ვივერი (1995) აღნიშნავს, ყოველივე ეს ხდება იმიტომ, რომ „საზოგადოებას, რომელიც კარგავს საკუთარ იდენტობას, ეშინია, რომ ის ვეღარ შეძლებს თვითმყოფადობის შენარჩუნებას“ (p.67), ამ შიშების პოლიტიკური ინტერესებისთვის გამოყენება კი მარტივად არის შესაძლებელი. ამავე ავტორების (1998) მიხედვით, “კოლექტიური იდენტობები ბუნებრივად ვითარდება და იცვლება საშინაო თუ საგარეო გარემოებების საპასუხოდ. ამგვარი ცვლილებები შესაძლოა აგრესიულად ან განხეთქილების გამომწვევად, ხოლო ამ ცვლილებების წყარო კი არსებით საფრთხედ იქნას აღქმული“ (p.23), ისევე, როგორც ევროპეიზაცია იყო წარმოდგენილი საფრთხედ გრენლანდიური იდენტობისთვის (იხილეთ სტატიის ქვეთავი - “კოლექტიური თვითრწმენა“).

მთლიანობაში, პოლიტიკური და ეკონომიკური მოსაზრებების პარალელურად, კოლექტიური თვითრწმენის ინტერესი გრენლანდიისთვის კიდევ ერთ მიზეზს წარმოადგენდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დასატოვებლად - ‘ფსიქოლოგიურს’! ვენდტი (1999) ხსნის, რომ „სახელმწიფოები იშვიათად დგებიან მატერიალური საფრთხეების წინაშე [ვენდტი მატერიალურ საფრთხეებს მოიხსენიებს, როგორც „ხანძარს სასტუმროში“], რომლის დროსაც არსებული რწმენები უსაფრთხოების მიღწევის შესახებ შესაძლოა დაემთხვეს ეროვნულ ინტერესებს“ (p.237). გრენლანდიაში არსებობდა რწმენა, რომ ევროპის ეკონომიკური გაერთიანებიდან გამოსვლა გრენლანდიისთვის წარმოადგენდა როგორც მატერიალური, ასევე ფსიქოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებას, რაც შესაბამისობაში მოდის ვენდტის (1999) ეროვნული ინტერესის სამივე კატეგორიასთან: ავტონომია, ეკონომიკური კეთილდღეობა და კოლექტიური თვითრწმენა (pp.233-238).

დასკვნა

სტატია მიზნად ისახავდა გრენლანდიის მიერ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დატოვების გადაწყვეტილების თვისებრივ ანალიზს. გადაწყვეტილების მიზეზები გაანალიზდა როგორც სამთავრობო, ისე საზოგადოებრივ დონეზე. ავტორი მივიდა დასკვნამდე, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ავტონომიის გაფართოების ინტერესიდან მომდინარეობდა და მას ზურგს უმაგრებდა გაერთიანების გარეთ ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის გეგმა. თუმცა, საზოგადოებრივ დონეზე გადამწყვეტი როლი ითამაშა გრენლანდიური იდენტობის შენარჩუნების სურვილმა. პარალელურად, სტატიის მიგნებები ინტერპრეტირდა ალექსანდრ ვენდტის მიერ შემოთავაზებული ეროვნული ინტერესების კატეგორიების მიხედვით: ‘ავტონომია’, ‘ეკონომიკური კეთილდღეობა’ და ‘კოლექტიური თვითრწმენა’ (ფიზიკური გადარჩენის ინტერესი აღნიშნული კვლევისთვის შეუსაბამოდ იქნა მიჩნეული). საბოლოო ჯამში, ავტორმა დაასკვნა, რომ ევროპის ეკონომიკური გაერთიანებიდან გამოსვლა გრენლანდიისთვის აღნიშნული სამი ტიპის ეროვნული ინტერესის ერთი პოლიტიკური ნაბიჯით მიღწევის საშუალებას წარმოადგენდა.

არგუმენტაცია ეფუძნებოდა *პროცესის მიყოლის* მეთოდს, რომლის საშუალებითაც გაანალიზდა გრენლანდიის პოლიტიკური პროცესები ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში განევრიანებიდან თვითმმართველობის გამოცხადებამდე. შედეგად დადგინდა, რომ გაერთიანების დატოვება გრენლანდიის თვითგამორკვევისკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯს წარმოადგენდა. პროცესის მიყოლამ აჩვენა, რომ დანიაზე ეკონომიკური დამოკიდებულება გრენლანდიის სუვერენიტეტისთვის შემზღუდველ ფაქტორს წარმოადგენს და გრენლანდია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას მოახერხებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ეკონომიკურად თვითკმარი გახდება. ეკონომიკური ფაქტორის, როგორც გრენლანდიის თვითგამორკვევისთვის მთავარი ბარიერის განსაზღვრის შემდეგ, ავტორმა შეისწავლა გრენლანდიის მიერ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დატოვების გადაწყვეტილებაში პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოსაზრებებს შორის არსებული ბალანსი. გაერთიანების დატოვებისას, გრენლანდიის დანიისგან გამოყოფის ჰიპოთეტური ქეისისგან განსხვავებით, მთავრობას ამ შემთხვევაში ჰქონდა სათადარიგო ეკონომიკური გეგმა: ზღვისგადაღმა ქვეყნებისა და ტერიტორიების (OCT) სტატუსის მიღება და თევზჭერის ლიცენზიების გაყიდვა გაერთიანების დაინტერესებულ წევრებზე, რითაც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დაკარგული ფინანსური დახმარების კომპენსირებას მოახდენდა. შესაბამისად, *პროცესის მიყოლამ* აჩვენა, რომ გრენლანდიის მთავრობის რწმენამ გაერთიანების გარეთ ეკონომიკუ-

რი კეთილდღეობის არსებული დონის შენარჩუნების შესახებ, გზა გაუკვალა ავტონომიის გაფართოების ინტერესის რეალიზებას გაერთიანების დატოვების გზით.

სტატიის შემდეგ ნაწილში გაანალიზებული იყო ე.წ. დანიზაციისა და ევროპეიზაციის მიმართ გრენლანდიის დამოკიდებულებებს შორის კავშირი. აღნიშნულმა ანალიზმა აჩვენა, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს გარედან თავსმოხვეულ მოდერნიზაციასა და ეკონომიკურ განვითარებას ადგილობრივი მოსახლეობის კოლექტიურ თვითრწმენაზე. შემდგომ, დისკურსის ანალიზმა გამოკვეთა, თუ როგორ გამოიყენა პოლიტიკური მიზნებისთვის მმართველმა პარტია „სიუმუთმა“ გრენლანდიური იდენტობის შეზღუდვის მიმართ ამომრჩევლების უკმაყოფილება ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წინააღმდეგ წარმოებულ წინასარეფერენდუმო კამპანიის დროს. ვივერის (1995) სეკურიტიზაციის თეორიის დახმარებით, ეს არგუმენტი თეორიულად შემდეგი ფორმით ჩამოყალიბდა: მმართველმა პარტიამ, გრენლანდიური იდენტობისთვის ევროპის ეკონომიკური გაერთიანების არსებით საფრთხედ წარმოჩენის გზით, მოახერხა გრენლანდიელების კონსოლიდირება გაერთიანების წევრობის წინააღმდეგ. „სიუმუთის“ მიერ სეკურიტიზაციის აქტის შედეგად, გრენლანდიელებმა მიიჩნიეს, რომ მათ ისტორიულ თვითაღქმას ევროპის მხრიდან საფრთხე ემუქრებოდა. ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილება ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დატოვების სასარგებლოდ წარმატებულ სეკურიტიზაციის პროცესზე მიუთითებს.

ამგვარად, გადაწყვეტილების მიღების პროცესის ორდონიანმა ანალიზმა სიღრმისეულად ახსნა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დატოვების შესახებ გრენლანდიის გადაწყვეტილების გამოწვევი მიზეზები და პროცესები. ვენდტის მიერ შემოთავაზებულმა ეროვნული ინტერესების კატეგორიებმა კონსტრუქტივიზმის თეორიულ ჭრილში განმარტა გაერთიანების დატოვების გადაწყვეტილება როგორც სამთავრობო, ასევე საზოგადებრივ დონეზე, მაგრამ სეკურიტიზაციის თეორიამ დამატებითი თეორიული ღირებულება შესძინა ანალიზს, რაც მისი დახმარებით თავად ამ პროცესის ჩვენების ეფექტურობაში გამოიხატა[5].

გარდა ზემოაღნიშნული მიგნებებისა, სტატია იძლევა „ავტონომიის“ საზღვრების სამართლებრივი კატეგორიის პოლიტიკური გადააზრების საფუძველს, იმ თვალსაზრისით, რომ დანიის სამეფომ გრენლანდიას მისცა უფლება არ გაჰყოლოდა მის საერთაშორისო ტრაექტორიას და გამოსულიყო ევროგაერთიანებიდან. შესაბამისად, საინტერესო იქნება, გრენლანდიის შემთხვევის შემდგომი კვლევა სამართლებრივი პრეცედენტის ჭრილში, რომლის გამოყენებაც, სავარაუდოდ, ევროკავშირის წევრი (მაგ. ესპანეთი) და ყოფილი (დიდი ბრიტანეთი) სახელმწიფოების შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიულ ერთეულებს შეეძლებათ. შესაძლებელია თუ არა, რომ გრენლანდიის შებრუნებული სცენარი მოერგოს კატალონიას, რათა იგი დარჩეს ევროკავშირში ესპანეთისგან დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში? ან რამდენად რეალურია, რომ ჩრდილოეთ ირლანდიისა და შოტლანდიის ავტონომია ანალოგიურად გაფართოვდეს ისე, რომ ისინი დიდი ბრიტანეთის გარეთ ყოფნის პირობებში, ინდივიდუალურად გახდნენ ევროკავშირის წევრები. ყველა ამ შესაძლო კავშირის გათვალისწინებით, გრენლანდიის შემთხვევა მკლევარების მხრიდან განახლებულ და მეტად სპეციალიზებულ ყურადღებას იმსახურებს, განსაკუთრებით, სამართლებრივს.

[5] სექიურითიზაციის თეორია კოპენჰაგენის სკოლას ეკუთვნის, მაგრამ ის არსობრივად ამავდროულად კონსტრუქტივისტულიც არის

გამოყენებული ლიტერატურა

The Greenland-Danish Self-Government Commission. (2008, April). *The Greenland-Danish Self-Government Commission's Report on Self-Government in Greeland.* Retrieved January 31, 2016 from The Arctic Governance Project: http://www.arcticgovernance.org/the-greenland-danish-self-government-commissions-report-on-self-government-in-greeland.4633171-137746.html

Alfredsson, G. (1983). Greenland and the law of political decolonization. In W. Fiedler, & J. Delbrück, *German Yearbook of International Law / Jahrbuch FüR Internationales Recht* (Vol. 25, pp. 290-309). Berlin: Duncker & Humblot

Borders, W. (1982, March 13). For Greenlanders, loneliness becomes the norm. *New York Times*

Borders, W. (1982, February 21). Greenland to vote on Common Market status. *New York Times*

Borders, W. (1982, February 24). Greenland votes on quitting Common Market. *New York Times*

Borders, W. (1982, February 25). Greenlanders vote to leave the Market. *New York Times*

Buzan, B., Wæver, O., & de Wilde, J. (1998). *Security: a new framework of analysis.* Colorado: Lynne Rienner Publishers

By (in alphabetical order) Kenneth J. Bird, R. R. (2008). *Circum-Arctic resource appraisal: estimates of undiscovered oil and gas North of the Arctic Circle .* U.S. Geological Survey Fact Sheet

Collier, D. (2011, October). Understanding Process Tracing. *Political Science and Politics , 44* (4), pp. 823-830

Commission. (1983). Status of Greenland. Commission opinion. *Commission communication presented to the Council on 2 February 1983* . Bulletin of the European Communities

Dahl, J. (1986). Greenland: Political Structure of Self-Government. *Arctic Anthropology* , 315-324

Debate in the British House of Commons. (1984, July 20). Retrieved January 31, 2016 from Innovating European Studies: http://www.cvce.eu/content/publication/2013/12/9/7a88e66d-a37b-410b-b435-0db99dc98c91/publishable_en.pdf

Eriksson, J., & Noreen, E. (2002). *Setting the agenda of threats: an explanatory model.* Uppsala: Department of Peace and Conflict Research, Uppsala University

Foighel, I. (1980). *Homerule in Greenland (Man & Society).* Copenhagen: Nyt Nordisk Forlag

Göcke, K. (2009). *The 2008 Referendum on Greenland's autonomy and what it means for Greenland's future .* Heidelberg: Max Planck Institute for Comparative Public Law and International Law

George, A. L., & Bennett, A. (2005). *Case studies and theory development in the Social Sciences.* MIT Press

Graugaard, N. D. (2009). *National identity in Greenland in the age of Self-Government.* Center of the Critical Study of Global Power and Politics

Harhoff, F. (1983). Greenland's withdrawal from the European Communities. *Common Market Law Review* , 13-33

Harhoff, F. (1994/5). Palestinian Self-Government viewed from a distance: an international legal comparison between Palestinian Self-Government and Greenland's Home Rule. In A. F. Kassim, *The Palestine Yearbook of International Law* (Vol. VIII, pp. 55-79). The Hague: Kluwer Law International

Heintze, H.-J. (1998). Autonomy: applications and implications. In M. Suksi. The Hague: Kluwer Law International

Howard, R. (2009). *The Arctic gold rush : the new race for tomorrow's natural resources.* Continuum International Publishing Group

Johansen, O., & Sørensen, C. L. (1983, July-August). Greenland's way out of the European Community. *The World Today* , 270-277

Kay, J., & Thorup, S. (2014, November). *Oil and gas in Greenland – still on ice?* . Retrieved January 31, 2016 from Andrews Kurth: https://www.andrewskurth.com/insights-1165.html?utm_source=Mondaq&utm_medium=syndication&utm_campaign=View-Original#_ftn2

Kjær Sørensen, A. (1995). Greenland: from colony to Home Rule. In S. Tägil, *Ethnicity and nation building in the Nordic World.* United States of America: Southern Illinois University Press

Kramer, H. (1982). Greenland's European Community (EC)-Referendum, Background and Consequences. *German*

Yearbook of International Law (25), 273-289

Kuchera, J. (2008, Autumn). The big thaw. *The Wilson Quarterly* , 36-42

Lyck, L., & Taagholt, J. (1987). Greenland – Its Economy and Resources. *Arctic*

Mason, K. (1983). European Communities Commission - Greenland - EC Commission draft approves withdrawal of Greenland from the European Community and proposes terms for economic reassociation. *Georgia Journal of International and Comparative Law , 13* (3), pp. 865-876

Nash, M. (2014). *The free library .* Retrieved January 31, 2016 from The European Union and secession: http://www.thefreelibrary.com/The+European+Union+and+secession.-a019569555

Politics in Greenland. (n.d.). Retrieved January 31, 2016 from Naalakkersuisut - Government of Greenland: http://naalakkersuisut.gl/en/About-government-of-greenland/About-Greenland/Politics-in-Greenland

Redder, H. (2012, October 2). *No side speaks to the emotions, yes side to reason (English translation)*. Retrieved January 31, 2016 from Information: http://www.information.dk/312578

Shadian, J. M. (2006). *Reconceptualizing sovereignty through indigenous autonomy: a case study of Arctic Governance and the Inuit Circumpolar Conference.* Ann Arbor: ProQuest Information and Learning Company

Taagholt, J., & Hansen, J. C. (2001). *Greenland: Security Perspectives.* Arctic Research Consortium of the United States

The Greenland Home Rule Act (translation). (1978, November 29). Retrieved January 31, 2016 from Statministeriet: http://www.stm.dk/_p_12712.html

Wendt, A. (1999). *Social theory of international politics.* Cambridge: Cambridge University Press

Ørvik, N. (1984). Greenland: the politics of a new Northern nation. *International Journal , 39* (4), 932-961